ედუარდ ევერეტ ჰეილი
(1822-1909)

ედუარდ ევერეტ ჰეილი – მწერალი, ისტორიკოსი, მღვდელ-
მსახური, სენატის კაპელანი 1822 წლის 3 აპრილს ბოსტონში (აშშ,

მასაჩუსეტი) დაიბადა. მამამისი, ნათან ჰეილი ფლობდა და გამოცემდა
გაზეთ „ბოსტონ დეილი ედვერტისერს“. ედუარდ ჰეილი ორატორისა
და სახელმწიფო მოღვაწის, ედუარდ ევერეტის ძმისშვილი და
რევოლუციის გმირის, ნათან ჰეილის ძმის შვილიშვილი იყო.
ბავშვობიდან ჰეილი ლიტერატურისადმი განსაკუთრებული
მიდრეკილებით გამოირჩეოდა. როგორც ვუნდერკინდმა, მან 13
წლის ასაკში დაასრულა ბოსტონის ლათინური სკოლა და სწავლა
ჰარვარდის კოლეჯში გააგრძელა; კოლეჯის დასრულების შემდეგ იგი
ჰარვარდის სასულიერო სკოლაში სწავლობდა.
სამწერლო ასპარეზზე ედუარდ ჰეილი 1859 წელს გამოვიდა.
70 წლის განმავლობაში მან გამოაქვეყნა: საგაზეთო სტატიები,
ისტორიული ნარკვევები, მოთხრობები, რომანები, პამფლეტები,
ქადაგებანი. მწერლის შემოქმედების პროფესიონალ შემფასებელთა
აზრით, ედუარდ ჰეილმა საფუძველი ჩაუყარა „რეალისტურ
ფანტაზიას“ (Realistic fantasy).

მას ეკუთვნის რომანები: „თუ, ჰო, შესაძლოა“(1868), „აღმო-
სავლეთი და დასავლეთი“(1892), „მისი სახელით“(1873) და სხვა.

ჰეილის თვითმყოფადობა და ძლიერი წარმოსახვის ნიჭი
თვალნათლივ გამომჟღავნდა მის სახელგანთქმულ ნაწარმოებში,
რომელიც 1863 წლის ზაფხულში, სამოქალაქო ომის დროს დაწერა და

„უსამშობლო კაცი“ დაარქვა. ეს მოთხრობა იმავე წლის დეკემბერში

პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „დე ატლანტიკ მანსლის“ ფურც-
ლებზე, ხოლო 1865 წელს ცალკე წიგნად გამოიცა. „უსამშობლო

კაცის“ გაგრძელებაა რომანი: „ფილიპ ნოლანის მეგობრები“.
„მე გულდასმით უნდა შემესწავლა, შეერთებული შტატების მიერ
ლუიზიანას მოპოვება“ – წერდა წიგნის თაობაზე ჰეილი.
„უსამშობლო კაცის მიხედვით, უოლტერ დემროშმა დაწერა
ოპერა, რომელიც 1937 წელს ნიუ ორკში, „მეტროპოლიტენ ოპერას“
სცენაზე დაიდგა.
მწერლის 150 წიგნი და პამფლეტი სხვადასხვა საკითხების

მხარდამჭერი ერთგვარი ტრაქტატებია, რომლებიც ზანგების განა-
თლებას, მუშათა საცხოვრებელ პირობებს, მსოფლიო მშვიდობის

პრობლემებს მიმოიხილავს.
1903 წელს ედუარდ ჰეილი შეერთებული შტატების სენატის
კაპელანად დაინიშნა. ერთხელ მას ჰკითხეს: „დოქტორ ჰეილ, თქვენ

სენატისთვის ლოცულობთ?“, რაზეც მან უპასუხა: „არა, მე სენა ტო-
რებს ვუყურებ, ხოლო ვლოცულობ ხალხისათვის“.

1898-1900 წლებში გამოიცა მწერლის თხზულებათა 10 ტომი.
ედუარდ ჰეილი 1909 წელს, როქსბურიში, 87 წლის ასაკში
გარდაიცვალა.